საქართველოს პრეზიდენტი

ბატონ მ.გოგიაშვილს

რით შეიძლება დავეხმაროთ?

[illegible]

[illegible]

№2

ე. შევარდნაძე

2003 წ. „17" მარტი

№ 804

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდური საბჭოს
თავმჯდომარეს, პროფესორ გია ჯაიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

თსუ ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკისა და მეთოდოლოგიის განყოფილებისა და აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილების თანამშრომლობის საფუძველზე, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, ჩამოყალიბდა „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი“, რომლის ძირითადი საქმიანობა განისაზღვრება სახელმწიფო პროგრამით – „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“. ჯგუფის ინტერესთა სფეროშია ინტერდისციპლინარული კურსების – „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძვლების“ და „თანამედროვე კომპიუტერული ლინგვისტიკის საფუძვლების“ მომზადება უახლესი ლიტერატურისა და შესაბამისი ქართული მასალის გათვალისწინებით. აღნიშნული კურსების ბაზაზე ივარაუდება სახელმძღვანელოების გამოცემა, რაც უდაოდ შეუწყობს ხელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული მიმართულებით სტუდენტთა მომზადებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

თსუ ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის
კათედრის გამგე, აკად. თ. გამყრელიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეთოდური საბჭოს
თავჯდომარეს, პროფესორ
გია ჯაიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

თსუ ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის, მათემატიკური ლოგიკისა და მეთოდოლოგიის განყოფილებისა და გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ტიპოლოგიის განყოფილების თანამშრომლობის საფუძველზე, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი", რომლის ძირითადი საქმიანობა განისაზღვრება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით –„კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" ნაგულისხმევი ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზის შემდგომი და სიღრმისეული დაფუძნებით, მათ შორის აღნიშნული მიმართულებით სრული სასწავლო-საუნივერსიტეტო პროცესის რეალიზაციის საკითხიც ჯგუფის ინტერესთა სფეროშია. საუნივერსიტეტო-სასწავლო სახელმძღვანელოების: „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძვლებისა" და „თანამედროვე კომპიუტერული ლინგვისტიკის საფუძვლების" მომზადება ჯგუფის ერთ-ერთ პირველგადასაწყვეტ მიზანს წარმოადგენს.

კათედრა იცნობს ზემოთ აღნიშნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ პროექტებს და გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზით ნაგულისხმევი საუნივერსიტეტო-სასწავლო პროცესის სრულყოფილი წარმართვა შეუძლებელია, მთლიანად მხარს უჭერს აღნიშნული პროექტების რეალიზაციას.

ი.ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის
ინსტიტუტის დირექტორი,
თსუ ინფორმატიკის კათედრის გამგე, პროფ. — დ. გორდეზიანი

თსუ კომპიუტერების მათ. უზრუნველყოფისა
და ინფორმატიული ტექნოლოგიების
კათედრის გამგე, პროფ. — ჰ. მელაძე

თსუ მათემატიკის დაფუძნებისა და
მეთოდიკის კათედრის გამგე, პროფ. — თ. თევზაძე

ამონაწერი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდური საბჭოს 2003 წლის 17 აპრილის სხდომის ოქმიდან № 8

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდური საბჭოს 2003 წლის 17 აპრილის სხდომაზე განხილულ იქნა თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის და მეთოდოლოგიის განყოფილებისა და აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილების თანამშრომლობის საფუძველზე მომქმედი „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფის" საპროექტო წინადადება საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძვლებისა" და „თანამედროვე კოპიუტერული ლინგვისტიკის საფუძვლების" მომზადების და შემდგომში მის ბაზაზე სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ, რომელიც მეთოდ-საბჭოს განსახილველად წარუდგინა თსუ ინფორმატიკის ფაკულტეტის მეთოდ-საბჭოს თავმჯდომარემ კობა გელაშვილმა. საპროექტო წინადადებას თან ახლდა თსუ ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგის, აკად. თამაზ გამყრელიძის, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, თსუ ინფორმატიკის კათედრის გამგის, პროფ. დავით გორდეზიანის, თსუ კომპიუტერების მათ. ზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლგიების კათედრის გამგის, პროფ. ჰამლეტ მელაძის და თსუ მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდიკის კათედრის გამგის, პროფ. თამაზ თევზაძის მხარდამჭერი რეცენზიები. საბჭომ განიხილა საპროექტო წინადადება და აღნიშნული ხასიათის ქართული სახელმძღვანელოების არარსებობის პირობებში ცალსახად დაუჭირა მხარი საპროექტო წინადადებით განსაზღვრული სასწავლო კურსების „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძვლებისა" და „თანამედროვე კომპიუტერული ლინგვისტიკის საფუძვლების" მომზადებას შემდგომში მათი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებად გამოცემის მიზნით. ხაზგასმული იქნა ის გარემოებაც, რომ ამგვარი კურსების არსებობა ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებით სტუდენტთა ჩამოყალიბებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

თსუ მეთოდ-საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი გია ჯაიანი

თსუ მეთოდ-საბჭოს მდივანი,
დოცენტი ნანა ბუაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობის საფუძველზე ინსტიტუტების დირექტორების აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. დ. გორდეზიანის, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის აკად. ნ. ამაღლობელის, თსუ პრორექტორების წევ-კორ. ა. ხელაშვილის, დოც. თ. ხუროძის, დოც. პ. მარგველაშვილის და ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტების შესაბამის განყოფილებათა ხელმძღვანელების მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და მუშაობს „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი" და მასთან მუდმივმოქმედი სემინარი „ენა, ლოგიკა, გამომთვლელი", სადაც ლოგიკის, ენის, კომპიუტერულ მეცნიერებათა, ინფორმატიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, ხელოვნური ინტელექტისა და კოგნიტიურ მეცნიერებათა საკითხების მკვლევრებს საშუალება ეძლევათ წარმოადგინონ და გააცნონ კოლეგებს თავიანთი კვლევის შედეგები. სემინარის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ თსუ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილების თანამშრომლები. მათთან შეთანხმებით სექტემბრიდან დაიგეგმა ამავე განყოფილების მიერ მომზადებული ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს–„თეორიული ენათმეცნიერების კურსის" საფუძველზე ჯგუფის შიდა მუშა-სემინარი ინტერდისციპლინარულ ლოგიკურ-ლინგვისტურ სფეროში ქართველი მათემატიკოსებისა და ლოგიკოსების, მათ შორის სტუდენტებისა და მაგისტრების დაჩქარებული ინტეგრირების მიზნით. დაგეგმილია აგრეთვე ანალოგიური ხასიათის სემინარი მათემატიკურ ლოგიკაში ქართველი ლინგვისტებისათვის იმ ფორმალურ-ლოგიკური საფუძვლების მიწოდების მიზნით, რომლებიც აუცილებელია მათი აღნიშნულ ინტერდისციპლინარულ დარგში საფუძვლიანი ჩართვისათვის.

„ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფის" საქმიანობის მთავარი თემა განისაზღვრება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით - „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში", რომელიც საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წინადადებით და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 სექტემბრის N 406 ბრძანებულების 195-ე პუნქტით დამტკიცდა 2003 წელს პირველ რიგში სარეალიზაციო სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამად. თემატიკის აქტუალობიდან და ფუნდამენტურობიდან გამომდინარე, პროექტი წელსაც ჩართულია 2004 წელს აუცილებლად განსახორციელებელ მიზნობრივ პროგრამათა ჩამონათვალში. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პრეზიდენტმა წერილობით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს ამა წლის მეორე ნახევრიდან მაინც პროექტის დაფინანსებისათვის შესაბამისი თანხების მოძიების მიზნით. პროექტს იცნობს და მხარს უჭერს საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი და განათლების სამინისტრო.

ბუნებრივ ენობრივ სისტემებში ლოგიკურ-ლინგვისტური ხასიათის კვლევები დასავლეთში ორმოცდაათ წელზე მეტია ინტენსიურად ვითარდება იმ უმნიშვნელოვანესი მიზნით, რასაც თავისუფალი ინტელექტუალური პროგრამირების იდეა წარმოადგენს. კომპიუტერის ბუნებრივ-ენობრივ გარემოში სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა სრულად ფორმალიზებული და

მათემატიზებული ბუნებრივი ენით კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას ნიშნავს, რაც კომპიუტერთან თავისუფალი პროგრამულ-ინტელექტუალური ურთიერთობის სრული და ამომწურავი გადაწყვეტაა. ამას სხვაგვარად ბუნებრივი ენობრივი სისტემის პროგრამულ-კომპიუტერულ ენად მოდიფიცირების პრობლემადაც იხსენიებენ. დღეს ცხადია, რომ ის ენობრივი საზოგადოება, რომელიც ვერ შეძლებს აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას სათანადო და საჭირო სისრულით, იძულებული იქნება ან საერთოდ უარი თქვას კულტურული განვითარების პერსპექტივაზე, ან წარმართოს იგი არამშობლიურ ენობრივ გარემოში. ამდენად, თუ ჩვენ არ გვინდა, რომ კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგეს ქართული ენის კულტურული, მეცნიერული და სასწავლო-აღმზრდელობითი ფუნქციებით შენარჩუნების საკითხი, აღნიშნული ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზით ნაგულისხმევი მიმართულებით კვლევების განვითარება გადაუდებელ აუცილებლობად უნდა განისაზღვროს. – აქ უპირველესი ეროვნული მნიშვნელობის მქონე საკითხზეა საუბარი!

ხაზგასმული სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის ღირებულება სწორედ ზემოთქმულიდან უნდა იქნეს დანახული და შეფასებული. არ არის შემთხვევითი, რომ იგი ყოველმხრივ არის აპრობირებული და მოწონებული დარგის სპეციალისტების მიერ. ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობის დახმარებითა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ამ პროგრამის საფუძველზე 2003 წლიდან გაიხსნა ცალკე სამეცნიერო-კვლევითი თემა, რომლის ფარგლებშიც ჯერ მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მიზანმიმართულად მუშაობს „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი". ჯგუფის წევრების თეორიული კვლევის შედეგები მოხსენდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციას, გამოქვეყნდა ჩვენთან და საზღვარგარეთ.

ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზით ნაგულისხმევი მიმართულებით კვლევების ინტენსიური წარმოება და აღნიშნული პრობლემატიკის სირთულე მოითხოვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ასპირანტების მომზადებას, რაც წარმოუდგენელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სწავლების ფუნდამენტური რეალიზაციის გარეშე. ეს უკანასკნელი კი ვერაფრით ვერ განხორციელდებოდა არსებული სასწავლო კურსების მოდერნიზაციისა და ახალი ინტერდისციპლინარული სალექციო კურსების შემუშავების გარეშე. ამის გათვალისწინებით ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სოროსის ფონდის მიერ თანამედროვე საუნივერსიტეტო ინტერდისციპლინარული კურსების განვითარებისათვის გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ჩატარდა ქ. ბუდაპეშტში. ჯგუფის პროექტმა გაიმარჯვა, რითაც მოგვეცა რეალური შესაძლებლობა აღნიშნული კურსების მომზადებისა. ჩვენ გვეამაყება, რომ ჯგუფში თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი, ნ. ხომსკისა და რ. მონტეგიუს მოწაფე, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი ბარბარა პარტი. აღნიშნულ პროცესში შესაბამისი კათედრის გამგეების აკად. თ. გამყრელიძის, პროფესორების დ. გორდეზიანის, ჰ. მელაძის და თ. თევზაძის რეკომენდაციების საფუძველზე ლოგიკურ-ლინგვისტური ხაზით განსაზღვრული ინტერდისიპლინარული კურსების საჭიროება და აუცილებლობა განიხილა და დაადასტურა თსუ-ს მეთოდსაბჭომ თავის გაერთიანებულ სხდომაზე (თავმჯდომარე – პროფ. გ. ჯაიანი). ამავე თვალსაზრისს იზიარებს თსუ-ს სასწავლო-მეთოდური სამმართველო (ხელმძღვანელი – დოც. ნ. სხირტლაძე).

ბატონო როინ, გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მოგმართავთ თხოვნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამას „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში". ამასთან, რამდენადაც ლოგიკურ-